

"მიზანმიმართულად ხდება კონკრეტული სკვერების, საახადნო განათებების დაზიანება"



დედაქალაქის მერი ვანდადიშის ფაქტებს ეხმაურება და აცხადებს, რომ კონკრეტული სკვერების და საახადნო განათებების დაზიანება მიზანმიმართულად ხდება.

“ძალიან ცუდია ის ფაქტები, რომლებიც ბოლო დღეების განმავლობაში გამოვლინდა. მიზანმიმართულად ხდება კონკრეტული სკვერების, თუნდაც საახადნო განათებების დაზიანება. ძალიან სამწუხაროა. მინდა მივმართო დედაქალაქის მოსახლეობას, რომ მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ, რადგან ეს ქალაქი არის თითოეული ჩვენგანის. როგორც საკუთარი ოჯახი, საკუთარი სახლი, ისე უნდა მივუდგეთ და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არც ერთი ჩვენგანი არ მიდის სახლში და არ ამტვრევს რაღაცებს.

ასე უნდა მოვექცეთ ამ ქალაქსაც. როდესაც რაღაც ვეთდება, რაღაცას რეაბილიტაცია უტარდება, გურდასაწყვეტია, რომ მეორე, მესამე დღეს მიდიან კონკრეტული ადამიანები, არ ვიცი, ვინ არის ეს ადამიანები და მიზანმიმართულად ხდება დაზიანება. ეს მიუღებელია. მე დარწმუნებული ვარ, საზოგადოება გვერდით დაგვიდგება იმაში, რომ ვანარმოთ კამპანია, რათა ქალაქს ყვედამ მოვუაროთ”, – განაცხადა კარაძემ.